



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №23
აგვისტო, 2021

თბილისი, 2021

ხელმძღვანელი:

ვახუშტი მენაბდე

ავტორები:

ნანუკა ყრუაშვილი

ნიკა ოდიკაძე (V თავი)

თათია მიქელაძე (VI-VII თავები)

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №23 ბიულეტენს, სადაც აღწერილია აგვისტოში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

I. ქსელური შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან

ივლისსა და აგვისტოში საიამ გამართა ქსელური შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე.¹ შეხვედრები ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ფარგლებში. ღონისძიების მიზანი იყო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გარემოს შეფასება. ქსელურ შეხვედრებს ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა ამომრჩევლის ნების კონტროლი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება და სხვა.

II. ცესკოს ახალი თავმჯდომარე

2 აგვისტოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე დეპუტატთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით კენჭი ეყარა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს.² გიორგი კალანდარიშვილმა, რომელიც ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე იყრიდა კენჭს, 83 დეპუტატის მხარდაჭერა მოიპოვა 3-ის წინააღმდეგ.³ შესაბამისად, ცესკოს ახალ თავმჯდომარედ ის დასახელდა. რაც შეეხება კომისიის წევრებს, წარდგენილი ოთხი კანდიდატიდან⁴ პარლამენტის მხარდაჭერა ორმა - გია ცაცაშვილმა და მაია ზარიძემ მოიპოვა.⁵ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით არჩეული პირები შესაბამის თანამდებობებს ექვსი თვის ვადით დაიკავებენ.⁶

ეს კენჭისყრა რიგით მეოთხე იყო მათ შორის, რომლებიც ცესკოს თავმჯდომარისა და კომისიის წევრების ასარჩევად გაიმართა. უბრალო უმრავლესობით კანდიდატების არჩევა 19 აპრილის შეთანხმების ანტიკრიზისული მექანიზმის ნაწილი იყო, რომელიც პირველ სამ ჯერზე მათ

¹ პოლიტიკურ პარტიებთან ქსელური შეხვედრები გამართეს საიას რეგიონულმა ოფისებმა ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, დუშეთში, გორში, რუსთავსა და თელავში.

² „პარლამენტმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე 83 ხმით გიორგი კალანდარიშვილის კანდიდატურას დაუჭირა მხარი“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 2 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news>, განახლებულია: 15.09.2021.

³ იქვე.

⁴ ცესკოს წევრობის კანდიდატები იყვნენ: გია ცაცაშვილი, ლელა ტალიური, თამარ სართანია და მაია ზარიძე. იხ. იქვე.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

ასარჩევად ხმათა გაცილებით მეტ რაოდენობას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, კენჭისყრის პროცესი ოთხიდან ერთ კვირამდე შემცირდა. საიას აზრით, შედეგად, ცესკოს თავმჯდომარე და კომისიის წევრები უმრავლესობასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსენსუსის გარეშე, მხოლოდ სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეირჩნენ. პროფესიული წევრების ბილატერალური მხარდაჭერით არჩევა კარგი შესაძლებლობა იყო საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის ამაღლებისთვის, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

III. „ქართული ოცნების“ უარი ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების მიღებაზე

23 აგვისტოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი კიევში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილს შეხვდა.⁷ ისინი ყირიმის პლატფორმის სამიტს ესწრებოდნენ.⁸ შეხვედრის შემდეგ შარლ მიშელმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მაკროფინანსური დახმარების გაცემის ვადა ახლოვდებოდა და მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს მთავრობას შეთანხმებებისა და რეფორმების გატარებისადმი ერთგულება გამოეფინა.⁹ შეხვედრიდან ერთი კვირის შემდგომ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ ამ დახმარებას ფინანსური დატვირთვა აღარ ჰქონდა, ვინაიდან ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი იყო.¹⁰ მან ასევე მიუთითა, რომ ევროკავშირის მხრიდან ფინანსური დახმარების გამოყოფაზე უარის „სანქციად“ შეფასება სპეკულაცია იქნებოდა.¹¹ მომდევნო დღეს ამის შესახებ განცხადება გააკეთა ირაკლი ლარიბაშვილმაც. მისი თქმით, მთავრობამ გადაწყვიტა, თავი შეეკავებინა ევროკავშირისგან ფულადი დახმარების სესხის სახით აღებისგან, რადგან ამ საკითხმა დიდი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.¹²

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ამ განცხადებას უპასუხა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითა შემსრულებელმა ჟულიენ კრამპმა.¹³ მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი ითვალისწინებდა საქართველოს მთავრობის დასაბუთებას გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საქართველომ ვერ შეძლო შეესრულებინა მაკროფინანსური დახმარების მიღების პირობა.¹⁴ კერძოდ, ეს შეეხებოდა სასამართლო რეფორმას, რომელიც აგრეთვე 19 აპრილის შეთანხმების ნაწილი იყო.¹⁵

მმართველი პარტიის ნაბიჯი კრიტიკულად შეაფასა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა. მისი განცხადებით, საქართველომ ვერ შეასრულა მაკროფინანსური დახმარების პირობები.¹⁶

⁷ „ირაკლი ლარიბაშვილი კიევში შარლ მიშელს შეხვდა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 24 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/437481>, განახლებულია: 15.09.2021.

⁸ იქვე.

⁹ Charles Michel, Twitter post, 24 August 2021, 10:09 AM, ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/euocopresident/status>, განახლებულია: 15.09.2021.

¹⁰ „ირაკლი კობახიძის თქმით, ევროკავშირის მაკროფინანსურ დახმარებას ფინანსური დატვირთვა აღარ აქვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 30 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/437814>, განახლებულია: 15.09.2021.

¹¹ იქვე.

¹² „პრემიერი: გადაწყვეტილი გვაქვს, თავი შევიკავოთ ევროკავშირის სესხის აღებისგან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2021 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/437861>, განახლებულია: 15.09.2021.

¹³ „ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის ჟულიენ კრამპის განცხადება საქართველოს მთავრობის შეტყობინებაზე ევროკავშირის 75 მილიონი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარების მოთხოვნისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით“, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, 2021 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://eeas.europa.eu/delegations/georgia>, განახლებულია: 15.09.2021.

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ Viola von Cramon, Twitter post, 31 August 2021, 9:23 PM, ხელმისაწვდომია: <https://twitter.com/ViolavonCramon/status>, განახლებულია: 15.09.2021.

შესაბამისად, მთავრობა ვერ იტყოდა იმაზე უარს, რისი მიღების უფლებაც არ ჰქონდა.¹⁷

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება გააკრიტიკეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ხატია დეკანოიძემ აღნიშნა, რომ ამ ნაბიჯმა ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებულ ასოცირების ხელშეკრულებას საფრთხე შეუქმნა.¹⁸ პარტია „ლელო საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ ამ ნაბიჯს უპასუხისმგებლო უწოდა.¹⁹ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულა 19 აპრილის შეთანხმება, არ გაატარა რეფორმები, რასაც შედეგად შესაბამისი სანქციები მოჰყვებოდა.²⁰ სანქციების შესახებ კომენტარი გააკეთა ასევე პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ.²¹ მან იმედი გამოთქვა, რომ ასეთ სერიოზულ და საგანგაშო ნაბიჯს ევროკავშირი მმართველი გუნდის წევრებისადმი პერსონალური სანქციების დაწესებით უპასუხებდა.²²

მომხდარი უარყოფითად შეაფასა ქვეყნის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. მისი აზრით, გაუგებარი იყო, რომ „ქართული ოცნებისთვის“ მოქალაქეების კრიზისულ მდგომარეობაზე მეტად პრიორიტეტული საერთაშორისო ვალის შემცირება გახდა.²³ მისივე განცხადებით, ხელისუფლების პასუხისმგებლობა იყო, ჩაეტარებინა სამართლიანი არჩევნები და შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ოპოზიციას არ უნდა მისცემოდა დესტაბილიზაციის პროვოცირების საშუალება უმიზეზოდ, არჩევნების ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით.²⁴

მთავრობის გადაწყვეტილებას ერთიანი განცხადებით გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.²⁵ მათი თქმით, ამ ნაბიჯით „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთხელ თქვა უარი ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რითაც მან ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას საფრთხე შეუქმნა.²⁶

საია მიიჩნევს, რომ მმართველი გუნდის ეს გადაწყვეტილება უკავშირდებოდა არა იმდენად

¹⁷ იქვე.

¹⁸ ხატია დეკანოიძის Facebook-გვერდი, 2021 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/khatia.dekanoidze.7>, განახლებულია: 15.09.2021.

¹⁹ მამუკა ხაზარაძის Facebook-გვერდი, 2021 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/mamuka.khazaradze>, განახლებულია: 15.09.2021.

²⁰ „გიორგი ვაშაძე - ისევ ხალხის მოყუებაზე მუშაობს „ოცნება“, ვიღაც უნდა დააჯეროს, რომ მან უარი თქვა დახმარებაზე, მართლა გჯერათ, რომ საქართველოს არ სჭირდება ევროკავშირის დახმარება?“ საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 15.09.2021.

²¹ „ანა დოლიძე - ღარიბაშვილის განცხადებები საგანგაშო ხასიათს იღებს - იმედი მაქვს, ევროკავშირი პერსონალურ სანქციებს მიიღებს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 1-ლი სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 15.09.2021.

²² იქვე.

²³ „სალომე ზურაბიშვილი - გაცხადებული უარი ევროკავშირის სესხის მიღებაზე გაუგებარი ნაბიჯია - გაუგებარია, რომ საკუთარი მოქალაქეების კრიზისულ მდგომარეობაზე მეტად პრიორიტეტული საერთაშორისო ვალის შემცირება გახდა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 15.09.2021.

²⁴ „პრეზიდენტი - ყველაფერს ვიღონებ, რომ ვერც ხელისუფლებამ დაუფიქრებელი ნაბიჯებით და ვერც დესტრუქციულმა ოპოზიციამ, რომელიც დღეს თავხედურად ხელს აწერს დოკუმენტს, რომელსაც 6 თვე ძირს უთხრიდა, ვერ შეძლოს ევროპული გზის არევა“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2021 წლის 2 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article>, განახლებულია: 15.09.2021.

²⁵ განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები არიან: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI); დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი (IDSD); ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC); საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS); დემოკრატი მესხთა კავშირი; ლიბერალური აკადემია; ღია საზოგადოების ფონდი (OSGF); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი; მედიის განვითარების ფონდი (MDF); საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PRH). „ევროკავშირის დახმარებაზე უარი საქართველოს ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევის ღია დეკლარირება“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდი, 2021 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi>, განახლებულია: 15.09.2021.

²⁶ იქვე.

ქვეყნის ქარბვალთანობისგან დაცვას, არამედ აღებული ვალდებულებების შესრულების სურვილის არქონას. სხვა შემთხვევაში მათ არაფერი უშლიდათ ხელს, სესხის აღებაზე უარის თქმის პარალელურად რეფორმები გაეგრძელებინათ.

IV. თანასწორი საარჩევნო უფლების დარღვევა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ფარგლებში შესაბამისი საარჩევნო ოლქების განსაზღვრისას არ უნდა დაირღვეს საარჩევნო ხმის თანაბრობის პრინციპი,²⁷ ამომრჩევლის ხმებს თანაბარი წონა უნდა მიენიჭოს.²⁸ მსგავსი სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2015 წლის გადაწყვეტილებაში დაადგინა.²⁹ სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელი იყო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის ფარგლებში ყველა ოლქში ამომრჩეველთა ხმების თანაბარი „წონის“ უზრუნველყოფა, ის სისტემა, რომელშიც ერთი ოლქის ამომრჩევლის ხმა უფრო მეტად „ფასობდა“ ვიდრე - მეორის, გამოიწვევდა ამომრჩევლების ხმათა თანაბრობის პრინციპიდან მნიშვნელოვან გადახრას.³⁰ შედეგად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა, რომელიც არეგულირებდა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების განსაზღვრის წესს.³¹ იმავდროულად, ვინაიდან თითოეულ ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა განსხვავდება და მათ შორის სრული თანაბრობის მიღწევა შეუძლებელია, საერთაშორისო მიდგომის მიხედვით, დასაშვებია მხოლოდ 10-15%-იანი გადაცდომა.³²

საიამ, ამ საერთაშორისო სტანდარტების და ხმის თანაბრობის პრინციპის შესაბამისად, მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საქართველოს მასშტაბით თითოეულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობა შეადარა ამავე ოლქში განაწილებული მანდატების რაოდენობას.

შედეგად აღმოჩნდა, რომ დათვლილი 664 ოლქიდან 506-ში ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან გადაცდომა შეადგენს 11%-ს ან მეტს, ხოლო 437 ოლქში 15%-ს აღემატება.³³

საია მიიჩნევს, რომ ეს არის თანასწორი საარჩევნო უფლების და ხმის თანაბრობის კონსტიტუციური პრინციპის უხეში დარღვევა. არსებული გადახრა იმდენად მნიშვნელოვანი და მაღალია, რომ იწვევს არაპროპორციულ წარმომადგენლობას და არ ქმნის თანაბარ შესაძლებლობებს იმისთვის, რომ ამომრჩევლებმა თანასწორად მოახდინონ გავლენა არჩევნების შედეგებზე.

²⁷ Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), 2002, პარა. 13-17, ხელმისაწვდომია: <https://www.venice.coe.int/webforms>, განახლებულია: 15.09.2021.

²⁸ იქვე.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება, „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-10-11.

³⁰ იქვე, II-13.

³¹ იქვე, II-41.

³² Code of Good Practice in Electoral Matters, Guidelines and Explanatory Report, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), 2002, პარა. 15.

³³ ზემოხსენებულ მონაცემებში მაჟორიტარულ ოლქებში გადახრა წარმოდგენილია ამომრჩევლის რაოდენობის საშუალო მაჩვენებლის გათვალისწინებით. თუმცა, საიას აზრით, იმისთვის, რომ ხმის თანასწორობის პრინციპი არ დაირღვეს, ყველაზე დიდ და ყველაზე პატარა ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის განსხვავება არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

V. ჯანმრთელობის უსაფრთხოების ნორმები COVID-19-ის პანდემიის პირობებში არჩევნების ჩასატარებლად

23 აგვისტოს ცესკომ პანდემიის პირობებში 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების უსაფრთხოდ ჩასატარებლად სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები განსაზღვრა.³⁴ COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციები პირველად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შემუშავდა, ხოლო 2021 წლის არჩევნებისთვის ეს წესები თითქმის უცვლელად დამტკიცდა.

COVID-19-ის რეგულაციები მოიცავს კენჭისყრის დღის ეპიდემიოლოგიურ პროტოკოლს, აგრეთვე, სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი ამომრჩევლების, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული პირების მიერ ხმის მიცემისას, საარჩევნო კომისიების შენობებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დროს დასაცავ სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს. ეს წესები შესასრულებლად სავალდებულოა ამომრჩევლისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის, საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის.

კენჭისყრის დღეს დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები

COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ცესკომ შეიმუშავა 2021 წლის არჩევნებისთვის კენჭისყრის შენობაში დასაცავი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები.³⁵

უბანზე მისულ ამომრჩეველს ტემპერატურა არ უმონმდება,³⁶ თუმცა შენობაში შესვლამდე თერმოსკრინინგს გაივლიან როგორც კომისიის წევრები, ისე უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირები.³⁷ ცხელების (37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის) დაფიქსირებისას პირის ტემპერატურა გადამოწმდება 5-წუთიან შუალედში, ხოლო განმეორებით ცხელების გამოვლენის შემთხვევაში ის არ დაიშვება კენჭისყრის შენობაში.³⁸ თერმოსკრინინგს უზრუნველყოფს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი პირი.³⁹

კენჭისყრის შენობაში მყოფ ყველა პირს, მათ შორის ამომრჩეველს, უნდა ეკეთოს პირბადე.⁴⁰ ამომრჩეველს უბანზე მისვლისას ორჯერ, იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის მიზნით, მცირე ხნით მოუწევს პირბადის მოხსნა.⁴¹ უარის შემთხვევაში იგი კენჭისყრის შენობაში არ დაიშვება და მასზე საარჩევნო ბიულეტენი არ გაიცემა.⁴²

პირბადის გამოყენება არ მოეთხოვებათ ადამიანებს, რომლებსაც ჯანმრთელობის გამო უჭირთ მისი ტარება და ეს დასტურდება შესაბამისი სამედიცინო/ექიმის ცნობით.⁴³ ახალი ცნობის აღება არ არის სავალდებულო, თუ უკვე არსებობს ამგვარი ავადმყოფობის დამადასტურებელი რაიმე ტიპის დოკუმენტი.⁴⁴

³⁴ „საარჩევნო ადმინისტრაცია 2 ოქტომბრის არჩევნების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოში ჩასატარებლად ემზადება“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 23 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tqdlot>, განახლებულია: 03.09.2021.

³⁵ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №52/2021 დადგენილება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yk7h1l>, განახლებულია: 31.08.2021.

³⁶ იქვე, მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

³⁷ იქვე, 1-ლი პუნქტი.

³⁸ იქვე, მე-2 პუნქტი.

³⁹ იქვე, მე-5 პუნქტი.

⁴⁰ იქვე, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴¹ იქვე, მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე, მე-3 პუნქტი.

⁴⁴ იქვე, მე-4 პუნქტი.

პირი ვალდებულია, დაიცვას ამ დადგენილებით განსაზღვრული წესი პირბადის ტარების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ექვემდებარება გაფრთხილებას.⁴⁵ თუ გაფრთხილების მიუხედავად, პირი აგრძელებს ამ წესის დარღვევას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია, მიუთითოს მას, რომ დატოვოს კენჭისყრის შენობა.⁴⁶ თუ პირი ნებაყოფლობით არ ასრულებს მითითებას კენჭისყრის შენობის დატოვებასთან დაკავშირებით, საუბნო საარჩევნო კომისია, კანონის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას კენჭისყრის შენობიდან მისი გაძევების თაობაზე.⁴⁷

კენჭისყრის შენობის შესასვლელთან განთავსდება დეზობარიერი, ხელის დეზინფექციისთვის საჭირო ხსნარი და ინფორმაცია ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ.⁴⁸

სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის წესები

ცესკო სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებებსა და იზოლაციაში მყოფი პირების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით თითოეული მუნიციპალიტეტის საზღვრებში ქმნის არანაკლებ ერთ საარჩევნო უბანს, ხოლო ქალაქ თბილისში - არანაკლებ 10-ს.⁴⁹ ამ საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების განსახორციელებლად ცესკო განკარგულებით ქმნის სპეციალურ ჯგუფებს, რომლებიც შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან.⁵⁰ ამ პირების შერჩევის პირობებსა და ვადებს ასევე განკარგულებით ადგენს ცესკო.⁵¹

თვითიზოლაციაში მყოფმა ამომრჩეველმა გადასატანი საარჩევნო ყუთის მოთხოვნით 2021 წლის 25 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 22 საათამდე, უნდა შეატყობინოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საინფორმაციო ცენტრს, რომ მას სურს არჩევნებში მონაწილეობა.⁵² განცხადებების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიების შედგენის მიზნით. ანალოგიური ვადები მოქმედებდა 2020 წლის არჩევნებზეც, თუმცა მაშინ ცესკომ 4 საათით გაახანგრძლივა ვადა, რათა უფრო მეტ მოქალაქეს მისცემოდა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება.⁵³

საარჩევნო სუბიექტს, იმის მიხედვით, რამდენი გადასატანი საარჩევნო ყუთის სია შედგება შესაბამის საარჩევნო უბანში, უფლება აქვს, დანიშნოს თითო წარმომადგენელი, ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს - თითო დამკვირვებელი, საერთაშორისო ორგანიზაციებს - თითო დამკვირვებელი ერთ თარჯიმანთან ერთად, ხოლო პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს - 2-2 წარმომადგენელი.⁵⁴

აღსანიშნავია, რომ სპეციალური ჯგუფის მიერ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის

⁴⁵ იქვე, მე-5 პუნქტი.

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ 1-ლი მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

⁴⁹ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №53/2021 დადგენილება სტაციონარულ სამკურნალო დანესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის, საარჩევნო უბნებისა და სპეციალური ჯგუფების შექმნის, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Bh7a9j>, განახლებულია: 31.08.2021.

⁵⁰ იქვე, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

⁵¹ იქვე, მე-4 პუნქტი.

⁵² იქვე, მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი.

⁵³ მარიამ ლაცაბიძე, საინფორმაციო ბიულეტენი №13, ოქტომბერი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020, გვ. 1-2, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Bt3hOE>, განახლებულია: 31.08.2021.

⁵⁴ იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

შემთხვევაში პირი ასევე ვალდებულია, იდენტიფიკაციის მიზნით მცირე ხნით მოიხსნას პირბადე.⁵⁵ ამ დროს ამომრჩეველსა და სპეცჯგუფის წევრს შორის დაცული უნდა იყოს უსაფრთხო დისტანცია - არანაკლებ 1,5 მეტრი.⁵⁶

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიების/სპეცჯგუფების დაკომპლექტების, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების/ვადის განსაზღვრისა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესები

პენიტენციურ დაწესებულებაში გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა არ ტარდება.⁵⁷ ხმის მიცემის პროცესის უზრუნველსაყოფად ცესკო არაუგვიანეს 13 სექტემბრისა ქმნის საარჩევნო უბნებს.⁵⁸

პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის/სპეცჯგუფის წევრებს ირჩევს/ნიშნავს ცესკო არჩევნების დღემდე არაუადრეს 16 დღისა (16 სექტემბერი) და არაუგვიანეს 15 დღისა (17 სექტემბერი).⁵⁹ კონკურსის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში შესაძლებელი იქნება საკონკურსო საბუთების წარდგენა ცესკოში საუბნო საარჩევნო კომისიების/სპეცჯგუფების 8-8 წევრის ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.⁶⁰

საუბნო საარჩევნო კომისიის (სპეცჯგუფის) წევრები, პოლიტიკური სუბიექტებისა და პრესის, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები ვალდებული არიან, 2021 წლის 23 სექტემბრის დილის 10 საათიდან საარჩევნო უბნის გახსნამდე გაიარონ სავალდებულო კარანტინი, ხოლო 1-ლ ოქტომბერს ჩაიტარონ (COVID-19) PCR-ტესტი.⁶¹

აღსანიშნავია, რომ თუ საარჩევნო კომისიის (სპეცჯგუფის) წევრი, დამკვირვებელი, პოლიტიკური გაერთიანების ან პრესის წარმომადგენელი არჩევნების დღეს დატოვებს კენჭისყრის შენობას, ის იქ აღარ დაიშვება.⁶² ასევე აკრძალულია, დამკვირვებლებსა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს შეენაცვლონ მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებული წარმომადგენლები.⁶³

⁵⁵ იქვე, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №54/2021, 2021 წლის 23 აგვისტო, ქ. თბილისი, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო უბნების შექმნის, საუბნო საარჩევნო კომისიების/სპეცჯგუფების დაკომპლექტების, ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების/ვადის განსაზღვრისა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დადგენის შესახებ, 1-ლი მუხლი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3t3eJ04>, განახლებულია 31.08.2021.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე, მე-2 მუხლი.

⁶⁰ იქვე, მე-3 მუხლი.

⁶¹ იქვე, მე-11 და მე-12 მუხლები.

⁶² იქვე, მე-14 მუხლი.

⁶³ იქვე.

VI. საბიუჯეტო დაფინანსების წესების ცვლილება

საბიუჯეტო დაფინანსების წესების ცვლილების შესაბამისად,⁶⁴ პოლიტიკურ პარტიას, რომელმაც დაკარგა პარლამენტის 2020 წლის არჩევნების საფუძველზე ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღების უფლება, ეს შესაძლებლობა 1-ლი აგვისტოდან აღუდგა.⁶⁵ ამასთან, მას მიეცემა ყველა ის თანხა, რომელსაც მიიღებდა, დაფინანსების უფლება რომ არ დაეკარგა.⁶⁶ ამ კანონპროექტის ინიციატორები საპარლამენტო უმრავლესობის წევრები იყვნენ.⁶⁷

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ პარტიებმა „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“ და „გირჩი“ საბიუჯეტო დაფინანსების მიღებაზე უარი თქვეს.⁶⁸ ალეკო ელისაშვილმა აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დაფინანსების მიღება შეუთავსებელი იყო არჩევნების შედეგების ბოიკოტთან,⁶⁹ ხოლო „გირჩის“ ლიდერმა ზურა ჯაფარიძემ სახელმწიფო დაფინანსების მიღება ბოიკოტის პირობებში „ქართული ოცნების“ სასარგებლო სვლად მიიჩნია.⁷⁰ თუმცა, მალევე პარტია „გირჩი“ ორ ნაწილად გაიყო.⁷¹

ხსენებული ცვლილებები შეეხო „ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეებისა“ და „გირჩის“ სახელმწიფო დაფინანსებას.⁷² შესაბამისად, 2021 წლის 1-ლი აგვისტოდან მათ აღუდგათ 2020 წლის არჩევნების საფუძველზე მოპოვებული საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც „გირჩის“ შემთხვევაში 777 990 ლარს, ხოლო „მოქალაქეების“ შემთხვევაში 497 406 ლარს შეადგენს.⁷³

პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების იდეა პარტიების ქმედუნარიანობას და პარტიული სისტემის განვითარებას ემსახურება.⁷⁴ საქართველოს კანონმდებლობით, საბიუჯეტო დაფინანსების მისაღებად პარტიამ კანონით დადგენილ ვადაში უნდა მიმართოს ცესკოს და წარადგინოს წერილობითი თანხმობა შემდგომი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე.⁷⁵ თუ პარტია თანხმობას ამ ვადაში არ განაცხადებს, იგი კარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების უფლებას,⁷⁶ თანხა კი კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტში ბრუნდება.⁷⁷ პარტიის მიერ საბიუჯეტო დაფინანსებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მომავალი ერთი წლის

⁶⁴ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 26 ივლისი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/22454>, განახლებულია: 12.08.2021.

⁶⁵ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე ორგანული კანონი, მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁶ იქვე, მე-2 ნაწილი.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ პარტიების სია, რომლებმაც მიიღეს საბიუჯეტო დაფინანსება, იხ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 11 დეკემბრის №263/2020 განკარგულების დანართი, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37BL70g>, განახლებულია: 12.08.2021

⁶⁹ „რა ფულს (არ) იღებს ოპოზიცია - რას ნიშნავს თანხმობა დაფინანსებაზე?“ საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 4 დეკემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3z1vvOI>, განახლებულია: 13.09.2021.

⁷⁰ იქვე.

⁷¹ „გირჩი იყოფა - ჯაფარიძის თქმით, ხვიჩიასთან, მეგრელიშვილთან და რაქვიაშვილთან ერთად გირჩის კეთებას აღარ აპირებს“, 26 ნოემბერი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ld3IG0>, განახლებულია: 13.09.2021.

⁷² განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“, „ბ“ და „გ“ პუნქტი.

⁷³ იქვე.

⁷⁴ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და თანმდევ კანონებში ცვლილებებთან დაკავშირებით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნა, 23.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fVD6Yf>, განახლებულია 12.08.2021.

⁷⁵ საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, 30-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ იქვე.

განმავლობაში, უფლების ხელახლა წარმოშობის პერიოდამდე, დაფინანსების აღდგენის რაიმე მექანიზმი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ცვლილებების განმარტებით ბარათში მისი მიღების აუცილებლობა და ობიექტური დასაბუთება არ არის წარმოდგენილი.⁷⁸ კანონპროექტიდან გამომდინარე, ხარჯები დაიფარება ბიუჯეტით შესაბამისი უწყებისთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.⁷⁹ ეს განმარტება გულისხმობს, რომ პარტია „მოქალაქეების“ და „გირჩის“ საბიუჯეტო დაფინანსების თანხა ცესკოს ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს, მაშინ, როდესაც დაფინანსებაზე უარის თქმის შემდგომ ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა. ამდენად, ამ ცვლილებების არარსებობის პირობებში საბიუჯეტო დაფინანსების მიღებას ისინი მხოლოდ 2022 წლის თებერვლიდან შეძლებდნენ.⁸⁰

VII. უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია.⁸¹ მისი შემადგენლობა განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, ხოლო კომისიის საქმიანობის წესი - კომისიის დებულებით.⁸² იგი იკრიბება კომისიის თავმჯდომარის მოწვევით, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ - კვირაში ერთხელ მაინც.⁸³ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე ერთჯერადად - სხვა პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც უწყებათაშორისი კომისიას აწოდებენ საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ინფორმაციას.⁸⁴ უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით კომისიის სხდომაზე, შესაძლოა, მიწვეულნი იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁸⁵ უწყებათაშორისი კომისია იხილავს მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს. აგრეთვე, დარღვევის შესახებ ინფორმაციას უწყებათაშორისი კომისიას აწოდებენ პოლიტიკური საარჩევნო სუბიექტები ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.⁸⁶ დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია, რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო დაწესებულებას გონივრულ ვადაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.⁸⁷

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა 2021 წლის 29 ივნისს.⁸⁸ დებულების თანახმად, მის შემადგენლობაში შევიდნენ მაღალი თანამდებობის პირები სამინისტროებიდან და უწყებებიდან, მათ შორის, საარჩევნო

⁷⁸ განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“.

⁷⁹ იქვე, გვ. 3.

⁸⁰ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.

⁸¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

⁸² იქვე, მე-5 ნაწილი.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე, მე-6 ნაწილი.

⁸⁵ იქვე, მე-8 ნაწილი.

⁸⁶ იქვე, მე-7 ნაწილი.

⁸⁷ იქვე, მე-9 ნაწილი.

⁸⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jG6nst>, განახლებულია: 03.09.2021.

ადმინისტრაციის წარმომადგენელი და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე.⁸⁹ აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი კომისიის შემადგენლობაში არ იყვნენ.⁹⁰

ავვისტოში კომისიის ორი შეხვედრა ჩატარდა - 11 და 25 ავვისტოს.⁹¹ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ისინი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა. კომისიის სხდომის ოქმები საჯაროდ ხელმისაწვდომია, თუმცა ავვისტოში გამართული შეხვედრების ოქმები სამინისტროს ვებგვერდზე რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოქვეყნდა.

11 ავვისტოს სხდომაზე განიხილეს მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციები და შესაბამისი რეაგირების საკითხები.⁹² ისინი შეეხებოდა, მათ შორის, სხვადასხვა რეგიონში საჯარო მოხელეების სამსახურიდან სავარაუდოდ უკანონო გათავისუფლების ან/და მათზე ზენოლის შემთხვევებს, სამუშაო საათებში მმართველი პარტიის კანდიდატების წარდგენაზე მათ დასწრებას, შესაძლო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს, მმართველი პარტიის კანდიდატების აქტივობებს კამპანიის დაწყებამდე, საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში სოციალური ქსელების აგიტაციის მიზნით გამოყენებას.⁹³

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ზოგადი მიდგომის შესახებ, რომ ფაქტის შესწავლის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, უშუალოდ დაზარალებულებსაც დაუკავშირდეს, მაგალითად, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც საუბარია სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე.⁹⁴ თუმცა, ამგვარი კომუნიკაციის შესახებ არაფერი თქმულა.

საჯარო მოხელეების გათავისუფლების შემთხვევებიდან ერთ-ერთი უკავშირდებოდა გორის მერიის თანამშრომელ ოლეგ ხუბულურის გათავისუფლებას, რაც, საიას შეფასებით, მის ოპოზიციურ აზრს და გამონატვას უკავშირდება, შესაბამისად, არის კანონშეუსაბამო.⁹⁵ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე ამ საკითხის განხილვისას ყურადღება გაამახვილეს რამდენჯერმე ხუბულურის სამსახურში გამოუცხადებლობაზე არასაპატიო მიზეზით, ხოლო საჯარო მოხელის გამონატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ასპექტები სრულად უგულებელყვეს.⁹⁶

აღსანიშნავია ცესკოს წარმომადგენლის განცხადება იმის შესახებ, რომ უმჯობესია, საჯარო მოხელეებმა არ გამოიყენონ პირადი სოციალური ქსელები აგიტაციისთვის.⁹⁷ მისი თქმით, ამ საკითხს კანონმდებლობა პირდაპირ არ აწესრიგებს, თუმცა, წინა არჩევნების დროს მას ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ მემორანდუმი არეგულირებდა.⁹⁸ აღსანიშნავია, რომ წინა წლებში ცესკო მსგავს ქმედებას კანონმდებლობის დარღვევად არ მიიჩნევდა, ხოლო მემორანდუმი ონლაინ აგიტაციის საკითხს გვერდს უვლიდა.

25 ავვისტოს სხდომაზე მონვეულნი იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები,

⁸⁹ იქვე, 1-ლი მუხლის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტები.

⁹⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3elEIDB>, განახლებულია: 03.09.2021.

⁹¹ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wlulux>, განახლებულია: 03.09.2021.

⁹² თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-3 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jC8YDD>, განახლებულია: 03.09.2021.

⁹³ იქვე.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ მარიამ ლაცაბიძე და სხვები, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის I შუალედური ანგარიში, მაისი-ივლისი (თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია), გვ. 11-12, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3BFgXpC>, განახლებულია: 03.09.2021.

⁹⁶ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-3 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jC8YDD>, განახლებულია: 03.09.2021.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე.

საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები.⁹⁹ სხდომაზე განიხილეს სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის შემთხვევები, პირთა ნების სანინალმდეგოდ საუბნო საარჩევნო კომისიებში დარეგისტრირება, პარტია „საქართველოსთვის“ მხარდამჭერი პირების დაპატიმრების, დევნის, საქმიანობაში ხელშეშლის და ზენოლის ფაქტები, მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა და წინასაარჩევნოდ ინფრასტრუქტურული პროექტების გააქტიურების შემთხვევები.¹⁰⁰

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევა საიამ ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაასაჩივრა.¹⁰¹ საქმე ეხებოდა აჭარის „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში შპს „ბათუმის წყლის“ კუთვნილი ავტომობილით სკამების გადატანას. ეს უკანასკნელი დაფუძნებულია ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ 100% სანესდებო კაპიტალის წილით, ხოლო პარტნიორობის უფლებამოსილებას ახორციელებს ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

უწყებათაშორისი კომისია მანამდე ორჯერ ივლისის თვეშიც შეიკრიბა.¹⁰² ამ სხდომებზე განიხილეს ამომრჩეველთა ერთიან სიასა და საარჩევნო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს.¹⁰³

ოთხი სხდომის ფარგლებში, მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის გარდა, კომისიაში საჩივარი/განცხადება არ შესულა. არცერთ შემთხვევაზე მას რეკომენდაცია არ შეუშუშავებია და ყველა მათგანთან მიმართებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მონოღებული განმარტებები საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნია.

VIII. პოლიტიკური რეიტინგები და საზოგადოებრივი განწყობები საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევებში

2 აგვისტოს „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, გამოკითხული მოქალაქეებიდან 28%-მა 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მხარდაჭერა „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა, 15%-მა „ნაციონალურ მოძრაობას“, ხოლო 9%-მა მათთვის სასურველ პარტიად პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ დაასახელა.¹⁰⁴ კითხვაზე, თუ რომელ პარტიას არ მისცემდნენ ხმას არავითარ შემთხვევაში, გამოკითხულთა 30%-მა „ნაციონალური მოძრაობა“ დაასახელა, ხოლო 24%-მა - „ქართული ოცნება“.¹⁰⁵ გარდა ამისა, გამოკითხულთა 14%-ის აზრით, არჩევნები აუცილებლად თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდება, ხოლო 13% მიიჩნევს, რომ მოახლოებული არჩევნები ნამდვილად არ იქნება ასეთი.¹⁰⁶ კითხვაზე, უჭერდნენ თუ არა მხარს ოპოზიციის

⁹⁹ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მე-4 სხდომის ოქმი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2WSdB3N>, განახლებულია: 03.09.2021.

¹⁰⁰ იქვე.

¹⁰¹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2021 წლის 18 აგვისტოს №79-30 საჩივარი ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიას, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yfdkby>, განახლებულია: 03.09.2021.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 1-ლი და მე-2 სხდომის ოქმები, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Wlulux>, განახლებულია: 03.09.2021.

¹⁰⁴ „Georgia Pre-election Poll Shows Public Demand for Responsive Economic Policy and Consensus-based Governance, Increased Vaccine Hesitancy“, International Republican Institute, 2 August, 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.iri.org/georgia>, განახლებულია: 15.09.2021; „Public Opinion Survey Residents of Georgia“, International Republican Institute, June 2021, გვ. 24, ხელმისაწვდომია: <https://www.iri.org/sites/default>, განახლებულია: 15.09.2021.

¹⁰⁵ იქვე, გვ. 26.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 27.

მოთხოვნას ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, რესპონდენტების 29%-მა დადებითად უპასუხა, 22% ნაწილობრივ მიემხრო ამ მოთხოვნას, 12% ნაწილობრივ წინააღმდეგი იყო, 27% - დანამდვილებით წინააღმდეგი, ხოლო 10%-მა მიუთითა, რომ არ იცოდა ან არ სურდა პასუხის გაცემა.¹⁰⁷

12 აგვისტოს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.¹⁰⁸ გამოკითხულთა 61%-მა დადებითად უპასუხა კითხვას, მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, ხვალ რომ ტარდებოდა.¹⁰⁹ 10%-მა კითხვაზე უარყოფითი პასუხი გასცა.¹¹⁰ კვლევის თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა ან არ დაასახელა პარტია, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს იყო.¹¹¹ კონკრეტული პარტია გამოკითხულთა მხოლოდ 30%-მა დაასახელა.¹¹²

IX. საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა

16-17 აგვისტოს თბილისსა და ქუთაისში საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა გაიმართა. საკონსტიტუციო ცვლილებები მას შემდეგ მომზადდა, რაც 19 აპრილს „ქართულმა ოცნებამ“ და საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა ხელი მოაწერეს ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მიერ ინიცირებულ დოკუმენტს.¹¹³ ცვლილებები რამდენიმე საკითხს მოიცავს: (1) მომდევნო ორი საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერი 2%-მდე დაინევს; (2) საპარლამენტო ფრაქციის შესაქმნელად საჭირო იქნება 7 დეპუტატის ნაცვლად 4; (3) გენერალური პროკურორი აირჩევა პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ მისი არჩევა ვერ მოხდება, 76 დეპუტატის მხარდაჭერა იქნება საკმარისი.¹¹⁴

საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო განხილვაში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებსაც მოსაზრებების გამოთქმისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ.¹¹⁵ განხილვის ტრანსლაცია მიმდინარეობდა პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური მედიის (facebook) საშუალებით.¹¹⁶

საია მიესალმება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტს და მიიჩნევს, რომ იგი შეესაბამება ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შუამდგომლობით შემუშავებულ 19 აპრილის შეთანხმებას და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ამის გათვალისწინებით, ორგანიზაცია პარლამენტს შეთანხმების ზედმიწევნით შესრულებისა და საკონსტიტუციო ცვლილებების უცვლელად მიღებისკენ მოუწოდებს.

¹⁰⁷ იქვე, გვ. 30.

¹⁰⁸ „საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის ივლისის სატელეფონო გამოკითხვის შედეგები“, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, აგვისტო, 2021, ხელმისაწვდომია: <https://www.ndi.org/sites/>, განახლებულია: 15.09.2021.

¹⁰⁹ იქვე, გვ. 64.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ იქვე, გვ. 65.

¹¹² იქვე.

¹¹³ „საქართველოს კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვა თბილისში გაიმართა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2021 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news>, განახლებულია: 15.09.2021.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ იქვე.